სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/318

22 ოქტომბერი 2019

ქ. თბილისი

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ოქტომბრის №01-05-02/21 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“ და მეორე ხელმძღვანელად დაინიშნოს ასოცირებული პროფესორი, ხათუნა ხარხელაური;
2. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „საბანკო პროცესების მართვა“ და მეორე ხელმძღვანელად დაინიშნოს პროფესორი, რატი ბურდიაშვილი;
3. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**